

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ


22

ეს დოკუმენტი გამოცემულია 1974 წლის 20 მარტის დროის შემდეგ.

၅၁ၬ ဒု. မြတ်လှောက်

- თქვენი ზერმავს გავავა სად ცხოვრობს?
- ზენ თვალს ხომ არ გაკლია?





საკუთარი პროფესიის მოღალეები

გინიაზურები

გინის მიღების თაობაზე ქარმა განცხადება შევად დაწერა, ცოლმა გადაათეთრა, მდიშანი კი დაწერა გადაყვითლა.

ცოგათა გიშროსთან

— კი მაგრამ, ცნობის მიღება ხომ ხუთი კაპიკი ღირს!

— თქვენ, ამხანავო, ყურს გაკლიათ და ორმაგად გალაპარაკეთ!

პითხება: შეწუხებული ვარ მეზობლის ხერინვით. არსებობს თუ არა რამე გზა, ხერინვის აღსკვეთად?

პასუხი: არსებობს ერთადერთი გზა — ნუ მისცემთ მეზობელს დაძინების საშუალებას!

ჩუჩაში მოთამაშე ბავშვში ფანჯარა ჩაამტვრია. მილიციელმა მაშინვე სტაცია ხელი:

— რა გიყო ახლა შენ?

— გამიშვი!

ცლებან აგდელანი

მომიტაზონი

რინქ-კავეულის მაღაზიაში ბოჭლომი რომ აღარ იშვიგება, რაჭველების ბრალია: თავიანთ სოფლებში სახლებს დაადეს! სახლებს კი არადა, მართლაც რომ „სოფელს ბოჭლომი პერიდია!“ ძალით აღარ იღრინება უცხო კაცის დანახვაზე, პირიქით, კუდის ქიცინითა და ლაქუცით უვეგება მას. ადამიანი მოენატრა ადამიანის მეგობარს.

ბებიებისა და ბაბუების ანაბარაა მიტოვებული ონის რაინის სახელმწიფო გეგმები (ისე, არც ამბორლაურშია სულ კარგად საქმე!). ერთი წაცდება თუ არა ფეხი რაჭველ ახალგაზრდას ქალაქისაკენ, გათავდა! — უკან მოხედვა ეწარება. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო თავისი სოფლის ორჩობრო და ტალახიანი გახსენებაშე აურეცელებს.

ახლა კი, ყოველგვარი იწილო-ბიწილოს გარეშე, ვიკითხოთ: რა უშევლის ამ შემაძრუნებელ მიგრაციას? არის თუ არა გამოსავალი? შეგვიძლია ხელში უზარმაზარი რუპორი დავიჭიროთ და საქმენოდ ხმამაღლა გავცეთ პასუხი ამ კითხვას: არის გამოსავალი!!!

აბა, დაუკიირდით, როგორ გაზაფხული ვით მოდიან აქ დამსკნებულები და როგორ ზამთარივით მიდიან უკან. რაშია საქმე? რა ბრძენებაცობა ამის გამოცნობას უნდა? — მოდიან საკურორტო სეზონშე და მიდიონ სეზონის დამთავრებასთან ერთად. მაგრამ თუ სეზონი მთელი წლის განმავლობაში იქნება? იქნებიან დამსკნებულებიც, იქნება მომსახურე პერსონალიც, და თუ მომსახურე პერსონალი იქნება, იქნებიან ოჯახებიც! ოჯახს კი ყველაფერი უნდა — პური, რძე, ბოსტნეული, დალაქი, ხაბაზი, თერძი, ხარაზი, მუშა და გლერი. ყველაფერი ეს გაჩნდება, როგორც ბორჯომის ხეობაში გაჩნდა, რადგან „თავლი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოფრინდება“. არადა, რაჭა მთლიანად საარაკო სააგარაკო ადგილია, რასაც შოვი ბეჭედივით ადასტურებს.

თურმე ნუ იტყვით და, შოგში მზის გამოსხივება მთელს რესტურანტის კუველაზე მეტია. ესეც მზის რესტორანდაცია იმის შესახებ, რომ აქ ზამთარშიც შეიძლება დასვენება. (სინამდვილეში კი შოვი და შოვის ტურისტული ბაზა მთლილ თოხი თვე მუშაობს). აქაური მინერალური წყლები, კლიმატი და ზღაპრული ბუნება იღმაღლი ძალით ისეა დოზირებული, რომ დამსკნებელსა თუ აგაღმყოფშე სასწაულებრივ ზემოქმედებას ახდენს. და აი, აქ შოგში, დაკონსერვებულია ხუთასაღილიანი ორი კაპიტალური კორპუსის მშენებლობა! (თუ საკონსერვო საქმის ასეთი საცეციალისტები არიან, მაშინ რნში გაეხსნათ ერთი საკონსერვო ქარხანა!).

მსოფლიოშია სახელგანთქმული უწერა

სორტუანი —
სორტუანი
ერთობენ


აქა, უწერაში, განკურნებულან გუჭ-ნაწლავით დაავადებული ისეთი ადმინისტრი, რომელთაც სიცოცხლეზე ხელი ჰქონდათ ჩანებული. ადგილობრივ ექიმს, ქალბატონი თინა გურგენიძეს ამ ავადმყოფების ვრცელი სია აქვთ ჩამოწერილი და გვარწმუნებს, არც ერთი პრეპარატი არ ჯობია უწერის წყალს. სამწუხაროდ, უწერაც მოუვლელია და, რაც მთავარია, აქაური წყლის ჩამოსხმა ისევ პრიმიტიული წესით ხდება. აპა, ონიც! ჯეჯორის მარცხნა მხარეს ამოსჩექფის წყალი — სორტუანი, დღეღამებში ში 250.000 ლიტრი. რა არის სორტუანი? სააცრება! ბუნების ნაბოძარი სიმდიდრე! სიცოცხლის ელექტრიზი! სორტუანის სამგერალო მოქმედების ასორტიმენტი ამოუწერავია. ქალბატონი თინა გურგენიძე ისევ გაგიშლით თავის სიას და ცოცხალი მოწმეებით დაგრაწუნებთ, თუ როგორ მოარჩინეს სორტუანი კუში, ღიგიძლი, ნეკროვები, ნეკრესის ქარები და სხვ. სორტუანს საგამენ, სორტუანის აბაზანებს იღებენ, სორტუანს აქებენ, მაგრა უწრადებას არ აქცევენ... და ამოსჩექფს აღმფოთებული სორტუანი და უწყალოდ იკარგება ჯეჯორის ტალღებში ადამიანის ჯანმრთელობა, სიმხნევე და ძალ-ღონე!

გავა დრო და, შოგში, უწერაში, ონში და კიდევ მრავალ სხვა ადგილას, სადაც უწვადა სამგერალო, წყლები, შენდება სანატურიუმები, ტურბაზები და დასასევნებული სახლები. ისევ მომრავლებება სოფლებში მოსახლეობა და გაჩნდება ვაკანსიები თბილისის რესტორნებასა და ბუფეტებში, ჩამოვლენ დამსკნებულები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, გაჭირდება საგურუების, სასტუმროსა და სამგზავრო ბილეტების შოგნ!

ფანტაზია? არა! კურორტოლოგების მსოფლიო რეგაზე ონი მსხვილი შრიფტით აღინიშნება. მხოლოდ ტემპია საჭირო, მაგრამ არა — რაჭული!

გარი გეტრეველი

თავისი უკვდავების წყლით. არა, ჩვენ პიპეროლისათვის, არ ვიკითქვამს „მსოფლიოში სახელგანთქმული“, რადგან ჯერ კიდევ 1913-14 წლებში საფრანგეთის ერთ-ერთ საზოგადოებას ორმოცდასათი წლის ვადით უწერის იჯარით აღებაც კი მოუნდომებია, ხოლო უფრო ადრე 2010 წელს, გერმანელი მეცნიერი გავლელობითი აღტაცებაში მოუყვინა უწერის წყლის სამგერალო თვისებებს. კარლოვი-ვარში ჩასულ ქართველებს კი გაცეცით უყურებენ ჩეხი ექიმები, უწერა გაქვთ და აქ არა ჩამოგიყანათ. დიახ, „თავრაშაულის პატრონი ტყეში ექვებდა პანტასა!“



სიტყვო

სახინძლები მფვადი მშამე...

სახინძლები მწვადი ვჭამე, სამწვადუში ხინჯალის;
მწვადი — სულ მთლად მილეული, ხინჯალი
კი — მიშერალი.
მიზეზი რომ ვკითხე გამგეს, აქეთ შემომიტა:
„თუ გსურს, ჭამე, თუ არა და, გარეთ გადი,
ბიძა!“
ეგ მაკლია, მოცუსმინო კლიენტების მომართვებს!
არა, ბიჭო, ერთ მანეთად ცვრიან მწვადებს
მოგართმევს!
რვა კაპიკად ხინჯალს ჭამ და იმასაც ვერ ერევი,
შენ არ გითხრეს: „სხვის საქმეში აწი ნუ
ჩაერევი?“
შემრცხვა კლიენტს, ალალ-მართალს, სულ არ
შერცხვათ იმ წუწებს!
აფდექი და სახინჯლიდან ჩუმად გამოვიძრწე..
ზურაბ გამულაშვილი

უმარმაზე!

გორჯომის წყალი რომ საყოველ-
თაოდ აღიარებულია, ამას დასტურლა-
მალი არ სჭირდება... წყალი კი არა, უკვ-
ლავების ნექტარია! ამიტომაა რომ ყვე-
ლაზე გამოსახენ ადგილზე, რუსთავე-
ლის პროსპექტზეც არის მინერალუ-
რი წყლების მაღაზია. აი, აშ მაღა-
ზიაში შევედი დაახლოებით დღის თოხ
საათზე. მაღაზიაში მხოლოდ ერთადერ-
თი მომხმარებელი ჩანდა. იგი თეთრხა-
ლათიან წყლის გამყიდველ ქალს ემუდა-
რებოდა — ერთი ჭიქა წყალი დამაღე-
ვინეთო... ხან ერთთან მივიღოდა, ხან —
მეორესთან. ერთი იმიზეზებდა ყუთებს
ვალაგებო, მეორე კი — ძალიან დაკა-
ვებული ვარო... ბოლოს, როცა უშესლოდ
აევსო მოთმინების ფიალა, მივიდა მო-
ლარესთან და საჩივრის წიგნი ითხოვა.

— საჩივრის წიგნს რატომ კადრუ-
ლობთ, ბატონი! — გადავლო მან ცვი
წყალი. — ბორჯომი მიირთვით და გული
გაიგრილეთ...

— ცოცხალი თავით წიგნს არ შოგ-
ცემთ! — ახალგახსნილი ბორჯომის ბო-
თლივით ათუხთუხდა მეორე თანამ-
შრომელი, „დამცველი“. — დალიეთ,
ბატონი, ბორჯომი და წყენა წყალს
ჩააყოლეთ! — უჩრია მან.

მომხმარებელმა წყენა უშესლოდ ჩაყ-
ლაპა, ხელი ჩაიქნია და იმედგადაწურუ-
ლი მაღაზიილან გავიდა.

— კი მაგრამ, წყალი რატომ არ და-
ალევინეთ? — პირში წყალი ვეღარ და-
ვიგუბი შე.

— დაიღალა ხალხი, შესვენების გა-

ჩეშე მუშაობს და იმიტომ! — ნიაღა-
რივით თავს დამატყდა „დამცველი“.
— სად გაგონილა შესვენების გარე-
შე მუშაობა! — ახლა მე ავფეთქდი ჰეი-
ზერივით.

— ეგ, ბატონო, ჩვენი ბრალი კი არ
არის, ჭალაქის სავაჭრო სამმართველოს
წყალობა! — ჩურჩულით ამისნა „დამ-

ცყლის ნაყვა

ცველმა“, თვალით გაურკვეველი მიმარ-
თულებით მანიშნა და მშრალზე დამ-
ტოვა.

— დაუჭერებელია! — წამოვიძახე და
თბილი ბორჯომი ცხვირში გადამცდა.
კამკამა ცრემლი შევიწმინდე და დირექ-
ტორის გვარი ვიკითხე.

— არ ვიცით! — ცივი წყაროსავით
ჩაარკრაკეს თანამშრომლებმა.

ნათქვამია ერთი „არა“ ცხრა „გამარჯ-
ვებას“ სჯობით, მაგრამ მე მაინც ეჭვის
წყალი შემიღება.

— როგორ, ოქვენი დირექტორის ვა-
რი არ იცით? — ავდულდი მე.

— ახალია, ბატონი, და ჩერ ვერ და-
ვიშსხვერეთ! — იმედი გადამიწურეს.

როგორც იქნა მივაგენი დირექტორის
კაბინეტს. ოთახში შევედი და იქვე შევ-


ჩერდი. პაპიროსის ბოლი ოთახში ტბა-
სავით ლივლივებდა. ძლიერ გავარჩიე
თხი ლომივით ვეუკაცი, რომელნიც
დომინოს გახურებულ თაბაში იყვნენ
გართულნი (შესვენების გარეშე!).


მოკლედ ავუჩხენი რაც მოხდა, მაგ-
რამ ღირდა კი! ეს ხომ ბორჯომის...
უკაცრიავად, წყლის ნაყვა გამოდიოდა.
მეც ხელი ჩავიქნიე და ტუტენარევ,
მყავე ხასიათით წამოვედი.

ჩვენში ძალიან უმაქნის ხალხზე იტყ-
ვიან: ისეთი ვინება, წყურვილით რომ
იხრჩობოდე, ჭიქა წყალს არ მოგაწვ-
დისო...

სადღაც წყალგადავლებული იმედის
ნაპერწელი მაინც ღვიოდა: ბორჯომიც
ჩაცივდება, მაცივარიც დაიდგმება, ჭიქა
წყალსაც ღროზე მოგწვდიან და სა-
ჩივრის წიგნსაც ხავსი მოედება.

ზ. ხახამშრალი





ზურაბ ჯავახელი

— ათასჯერ ვეთხარი. „იავნანა“ ამოღო
რეპრეზერიდან და, ამ, ბატონი შედები!

მოისართქ დრო, კარგა ხანია, წავიდა და თან ჩამოწერილი საქონელი — შშეოლდისარიც წაიყოლია... თუმცა, კაცმა რომ თქვას, მთლიანად — ვერა! ისარი, გთარცა ტკბილსახსოვარი, კომპასს, საათს და, რაც მთავარია, სასწორს დღესაც შემორჩა.

სასწორი!.. ჯერ სახელს გაუსინჯეთ კბილი: სამრუდავი კი არა, — სასწორი! რომელზედაც ქართველ კაცს, საქონელზე მეტად, სიტყვა და სამართალი უწონია. სასწორი!..

ბაზრებისა და მაღაზიების დახლებზე ჩამორიგებულნო, — თევზზე გირი დაიდეთ და თქვით, — უმიზუნოდ ვართ გულნაკლულნი?

უმიზუნოდ გაყურებთ ზოგაჯერ ეჭვის, ზოგაჯერ ბრაზის, ხანაც ბოლმის თვალითა?

თქვით, მიზეზს არ იძლევით? იქნებ, წავამატეთ, გავტუქეთ რამე?

რატომ ვერ ამბობთ, პირში რატომ ვერ გიბრუნდებათ მჩგამრუდებული ისარი?

...აპა, ბორგავთ? რაღაცას გვანიშვებთ? ბრძანეთ! ბრძა-

ნეთ! ჩვენი — ყური, თქვენი — ისარი!

რაო?! რაო?! ჩვენი რა ბრალია, სხვის ხელში, სხვის ცოდვებში ვიჭყლიტებითო?! პირში უბრალო წყალს კი არა, მდუღარეს გვიგუბებუნო?! აბა, შეგვხედეთ, თავს ზემოთ რა ძალა გვადგასო?!

სულ დაბეჩავებულსართ! სამართლის, სინდისის აწონვას იჩემებთ და წუწუნს კი გადაჭყოლისართ!

„თავს ზემოთ რა ძალა გვადგასო?.. რა ძალაა მაგისთანა? თქვენს ისარს კი აღარ აქვს ძალა, უბრალო ჩხირადი კეცით, წვერი მთლად დაგიბლავდათ? ერთი რომ წამოიშალოთ, თითომ რომ თითო ისარი გამოიღოთ, მეტი კი არ უნდა ხელცივსა? ისე მოუსვამს, ვეღარც ხელი მოუბრუნდება, ვეღარც ის შესიებული კისერი!..

...მაშინ ჩვენც წელგამართული ვივლით, მაშინ სასწორზე ის კარგი, მაგრამ იშვიათი საქონელიც აიწონება, სინდის რომ ეძახიან!


ზურაბ ჯავახელი

დაიგვიანება...

მიმდინარე წელს „ნიანგში“ დაიბეჭდა კონკრეტული მასალები. ამის საფუძველზე რედაქციამ პარტიის რაიონშებიდან, რაისაბჭოს აღმასკოშებიდან და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებიდან მიიღო პასუხები მათ მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ, მაგრამ არის პასუხითა „დაგვიანების“ ცალკეული შემთხვევები. უფრო სწორად ამას შეიძლება „წაყრუებაც“ დავარქვათ.

კიდევ ერთხელ, შეხსენების სახით, გვინდა მოვისენით იმ წერილების მხოლოდ სათაურები, რომლებზედაც პასუხებს დღესაც ელოდება რედაქცია: „ნიანგი“ № 1 — „გამარჯობა, დვირფასო ნიანგო“, № 5 — „შეცდომა სიცოცხლის ფასადი“, № 6 — „ბარათები ნიანგს“, № 10 — „ბარათები ნიანგს“, № 12 — „ალო, გისმენი!“, № 13 — „ალო, გისმენი!“, № 15 — „პროფილაქტიკა“ და „ალო, გისმენი!“.

რედაქციას აინტერესებს, ხომ არ არიან ჩვენს რესპუბლიკაში იმ პრინციპის მიმდევარნი, რასაც „წერე და იკითხე“ ჰქვია. მაშინ „ნიანგი“ კიდევ ერთხელ ააუღარუნებს თავისი სატირის ბასრ იარაღს, რათა წამყრუებლებს უფრო მკაფიოდ მიაწვდინოს მისი ხმა.



ო ე რ თ ს თ ე გ ზ ი: თუ ძმა ჩარ, ჩვეს იმედზე
ნაღერ იქნები, ხომ ხედავ, პროტეციონიშვ რ
ემბავია?!

ერთსა კაცსა, გლისპინელსა...

(ენისა და თაგის გასატვები)

ერთსა კაცსა, ბლისკინელსა, ბლის კალათით, ბლის ხილზედა, ერთ-ეცლ-სარდაფ-ბინ-ჭერ-ბნელსა, წინ შემოვცდა ბიძა ქლესა:

„სამ-ოთხ-ლოჭ-ბინ-თუ-შეგიშობ, მე-შენ-ბინ-მოგც-შენ-რას-მომცემ? თბილ-ქალ-გარეთ, კარგ-ბინ-სახლში, თუ-ჩუმ-ჩემ-ცოლ-ფულ-გინ-
გარანტ-ორ-სამ-წელიწადში თრდერს-ნაღდ-მოგც-ერთ-კვირაში!..“

ბლისკინელმა დაიკვენესა: „ვაი-ჩემ-დედ-მამის-ზეესა,
უკავს-რა-ჟერნდ-ბლომ? ბუს-გაქონდ-რომ? ან-რით-ვუშ-ამ-ბნელ-
საქმესა?!”

...და ის ბერ-კაც-ბლისკინელი, ბლის-კალათით, ბურგაკებით,
გოჭ-უკელ-ჭად-ბურ-ტიჭორებით, იხვ-ბატ-ქათამ-კუპ-ტებით,

დახას-შუამდგ-გან-კცადებით, ცნობ-მეტრიკ-ბეჭდ-საბუთებით,
ბინ-ორდერში-სიით-შეტან-დედ-მამ-ქვისლ-მაზლ-ასლობლებით,

ცოლ-შვილ-და-მა-ბებიებით, დეიდ-ბიძ-ნათლ-ბაბუებით,
ის-ორ-ათ-ბნელ-წელიწადი დადიოდა საჩივრებით:

ბინ-ტრესტიდან — ბინ-მშენამდე, ბინ-მშენიდან — მსხვილ-მშენამდე,
მსხვილ-მშენიდან — მაღლ-მშენამდე, მაღლ-მშენიდან დაბლ-მშენამდე,

ფულ-მშენამდე, პურ-მშენამდე, ღვინ-მშენამდე, ჭირ-მშენამდე,
ატყუებდა ბილ-კც-ქლესა იმ-აბდალ-შერ-ბლისკინელსა...

რაც გინხავთ; ვეღარ ნახვთ! — სხვა დროება დაგვა დღესა
ბლისკინელი ლოცავს მზესა: ბინა მის ცეს ბლისკინელსა ა..

მილიცია ქლესას ეცა, ცუ-კაცობა-შეურცხვესა!..
საქ-პროკ-მსაჭულს გადაეცა, წაიყვანეს ბიძა-ქლესა,

ცოლ-შვილ-შიც-არ-გაუშვესა, მსხვილ-თბილ-ბინში კუკუ ჰერესა,
და იმ მსხვილ-ბინ-თბილ-მშენიდნ სასამართლოს სკამის დაეცა...

P. S. ქლესას სახლი-ლოჭ-ბინ-ზეარში, გარაუ-ვერანდ-გლევგის-ბალით,
გაუცვალეს ერთ კვირაში ორთაჭალის ციხის ბალში —

უდარბაზო-სადარბაზო-იზოლირებულ კვარტალში,
უბაზან-უაბაზო-უ-ტელე-ტელეფონ-ფირში,
ერთ-ფანჯრ-ჩეინის-ბნელ-საკანში, ულოჭ-სათავე-ერთ-ოთახში

და არავინ არ აკითხავს, ბლის კალათით, ბლის ხილზედა...

P. P. S. წაუკითხეთ კანონ-ლექსად უველა მექრთამ-მხვდე-ოხერსა,
და თუ ზღაპრად გესმათ ესა, მიდით, ჰყითხეთ ბლისკინელსა!

მიკრომოზერობები

იყო და არა იყო... რა?

(I ვარიანტი)

იყო ერთი კაცი (ნეტავი, მართლა ერთი ყო
ფილიყო!)

ჰქონდა ორი ხელი — მარჯვენა და მარცხენა.
მარჯვენა მუშაობდა, მარცხენა საათს (დროს) ატარებდა!

მარჯვენას შემოქმნდა, მარცხენას გაპქონდა!

მარჯვენა მარცხენა წერდენ, მარცხენა წერდა!

მარჯვენას აგური მოქმნდა, მარცხენა „აწ-
ყობდა“!

მარჯვენა ჭრიდა, მარცხენა ქერავდა!

მარჯვენას ტყავი ძერუბოდა, მარცხენა ტყავში
ძვრებოდა!

მარჯვენამ იცოდა, მარცხენა რას აკეთებდა!

მარჯვენა მარცხენას რომ ურტყამდა, ზოგს...

ტაში ეგონა!

...მარჯვენა წაწიეს, მარცხენა აწიეს!

(II ვარიანტი)

გუშინ ქუჩაში ერთი ნამამაძალარი კაცი მი-
დიოდა.

— რათა ერთი?

— მაშ, რამდენი?

...ამ კაცს ერთი ხელი თეთრი ჰქონდა, მეორე—
შავი.

„რატომ აქეს ამ კაცს მარჯვენა ხელი სუფთა და
მარცხენა — ჟუჟყიანი?“ — ჰყითხა გამვლელმა
გამომვლელს.

„რატომ და, ახლა ის დრო აღარ არის, გენაც-
ვალე, ხელი ხელს რომ ბანდაო!“ — უპასუხა
გამომვლელმა გამვლელს.

დახურვანება

ემპროსებისათვის კარგი თამაშა — უფრო-
სებისათვის ცეცხლოთან თამაში.

წონაში მოატყუეს!

ზომაში მოატყუეს!

სიგრძეში მოატყუეს!

სიგანეში მოატყუეს!

...თვალი დახუჭა!

ხურდაში მოატყუეს!

ხარისხში მოატყუეს!

შინ მოატყუეს!

გარეთ მოატყუეს!

...თვალი დახუჭა!

ერთმა მოატყუა!

მეორემ მოატყუა!

მესამემ მოატყუა!

...თვალი დახუჭა!

ერთმა კაცმა სამი „გოლგა“ მოიგო ლატარიაში!
სამი აგარაკი აიშენა!

სამი ბინა მიიღო!

სამი მანქანა გამოიცვალა!

სამი — ცოლი!

სამი ცოლირან, სამ შვილს, სამი ოქროს მედა-
ლი ჩამოჰყიდა!

სამივე სამედიცინოზე მოაწყო!

...თვალი დახუჭა!

ყველაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც ბრმა იყო!
სიბეჭე არ აწუხებდა, ბრმა ნაწლავმა შეაწუხა!

სასწრაფოდ გააქანეს სასწრაფოში!

თავზე ადგა თეთრ ხალათში გამოწყობილი ის
მეზობლის ბიჭი და, ყოველგვარი ხუმრობისა და

ცოდნის გარეშე, დანას უტრიალებდა!

...თვალები აეხილა საოქრაციოში!

იცოდა, რომ ამან ექიმობისა არაფერი იცოდა!

...ამაზეც თვალი დახუჭა!

ამჯერად — საუკუნოდ!

გიზო ნიშნიანი

ნახატი თერიბის ავტორი.
ნახატი მეტად განვითარება.
ა. ბოლქვაძე, ა. გვარდიშვილი, ა. ნიშნანიშვილი.
ა. გურგერი, ა. ლამაზავაშვილი.

სამარტინი შუალედი შემოსული მეტად.

სამარტინი შემოსული მეტად.

ହୋଇପତ୍ରାଳୀ କାଲ୍‌ପନ୍ଦି ପତ୍ରାଳୀ ପତ୍ରାଳୀ ପତ୍ରାଳୀ ଶ୍ରୀଶ୍ରୀ-
ଶାଲ୍‌ମନ୍ଦିର ଅଧେରିକ୍‌-ଶାଶ୍ଵତା ପାତ୍ରଶିଳୀର ଉତ୍ସର୍ଗରତିବନ୍ଦି-
ଗନ୍ଧିତାରବାସ.

四庫全書

Индекс 76137



ქალღი ზევს, ქარავანი მიდის